



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა

საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის დასახელება	სამართალი
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law)
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	<p>240 ECTS კრედიტი 8 სემესტრი</p> <p>18 კრედიტი - საბაზისო სავალდებულო (საუნივერსიტეტო მოდული)</p> <p>24 კრედიტი - ინგლისური სავალდებულო</p> <p>180 კრედიტი - სამართლის სპეციალობის (დარგობრივი) კურსები</p> <p>120 კრედიტი - სამართლის სპეციალობის სავალდებულო კურსები</p> <p>6 კრედიტი - სამართლის შესავალი კურსები</p> <p>30 კრედიტი - საჯარო სამართლის ბლოკი (სავალდებულო)</p> <p>54 კრედიტი - კერძო სამართლის ბლოკი (სავალდებულო)</p> <p>24 კრედიტი - სისხლის სამართლის ბლოკი (სავალდებულო)</p> <p>6 კრედიტი - საერთაშორისო სამართლის ბლოკი (სავალდებულო)</p> <p>60 კრედიტი - სამართლის არჩევითი კურსები (სამართლის არჩევითი კურსებიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს მინიმუმ 60 კრედიტი)</p> <p>96 კრედიტი - საჯარო სამართლის არჩევითი ბლოკი</p> <p>84 კრედიტი - კერძო სამართლის არჩევითი ბლოკი</p> <p>60 კრედიტი - სისხლის სამართლის არჩევითი ბლოკი</p> <p>60 კრედიტი - საერთაშორისო სამართლის არჩევითი ბლოკი</p> <p>12 კრედიტი - სამართლის არჩევითი ბლოკი</p> <p>18 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტი - თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს</p>

	ნებისმიერი საუნივერსიტეტო საგანი ან ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული საგნები) 12 კრედიტი - არჩევითი ბლოკი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 01.07.2008 წ., განახლებადია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. მოდულიზირებული სახით (ცვლილებები) დამტკიცებულია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ - ოქმი #53. პროგრამაში ცვლილებების განხორციელდა 2014 წლის 2 აგვისტოს, სამართლის სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით. ოქმი N50
სწავლების ენა	ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების უფლებით სარგებლობენ ერთიანი ეროვნული გამოცდების წესით ჩარიცხული აბიტურიენტები. ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.	
პროგრამის მიზანი	
სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, მისთვის საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში სამართლის ფუნქციების შესწავლის, იურიდიული კვლევისა და სხვა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების გზით. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სამართლებრივი საკითხების გაგების, გაანალიზებისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების სწავლებას, რაც ემსახურება თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მქონე იურისტის მომზადების მიზანს.	
სტუდენტი დაეუფლება იურისტისათვის აუცილებელ მეთოდებს და შეიძენს სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარს, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კომუნიკაციისა და სწავლების უნარს. პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარს.	
ამ მიზნ(ებ)ის მისაღწევად სტუდენტს მიეწოდება სპეციალური ცოდნა სამართლის რაობის, მეთოდებისა და ისტორიის, საჯარო სამართლის, კერძო სამართლის, სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის სპეციალიზაციათა (მოდულები) სასწავლო დისციპლინების ფარგლებში. სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ როგორც კვლევით, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში (ისწავლიან იურიდიული შინაარსის მქონე დოკუმენტების შედგენას).	
პროგრამის შედეგები	
სამართლის პროგრამა უზრუნველყოფს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ კორპორაციულ, საჯარო, აკადემიურ თუ	

არასამთავრობო სტრუქტურებში იურიდიულ პრაქტიკას. შეძლებენ ემსახურონ სამართლის დანიშნულების რეალიზებას (დაწვრილებით იხ. შედეგების (კომპეტენციების) რუკა დანართი #1).

სამართლის ბაკალავრს გააჩნია შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება:

აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის - სიღრმისეული ცოდნა. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის. კურსდამთავრებულმა იცის: განმარტების მეთოდები; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები; სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; ქონებრივი სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში აბსტრაქტული მონაცემები და კონცეფციები გამოიყენოს მოცემული საჭიროებისათვის და პრობლემის გადასაჭრელად; მას წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების მიხედვით შეუძლია კვლევითი და/ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება და მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია; აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტი, ხელშეკრულება, საჩივარი, სარჩელი, წესდება) შედგენა;

დასკვნის უნარი

აქვს ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და რეზიუმირების უნარი, შეუძლია ნაშრომის/ტექსტის გაფორმება, პლაგიატობის თავიდან აცილება, სხვათა ნაშრომების ციტირებისა და რეფერირების წესების დაცვით; აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი;

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული ფლობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, აქვს ინტერნეტისა და სხვა ელექტრონული წყაროების გამოყენების უნარი კომუნიკაციისა და ინფორმაციის მოძიებისთვის, დამოუკიდებლად ითვისებს ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებს; კურსდამთავრებულს აქვს ჯგუფში მუშაობის უნარი; აქვს ინფორმაციის მშობლიურ და უცხოურ ენებზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი;

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით, საკუთარი სწავლის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების

განსაზღვრა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელება. აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;

ღირებულებები

იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

სამართლის ბაკალავრის დასაქმების სფეროები

სამართლის ბაკალავრს შეუძლია საქმიანობის განხორციელება საჯარო, კორპორაციულ, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში. იმისთვის, რომ სამართლის ბაკალავრის ხარისხის მქონემ შეძლოს ადვოკატის, პროკურორის ან მოსამართლის პროფესიით საქმიანობა, მან უნდა გაიაროს სპეციალობაში შესასვლელი სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდები.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ამავე დროს, საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.

სასწავლო პროცესის წარმართვის ფორმატი/სწავლების მეთოდები

საბაკალავრო პროგრამა მიმდინარეობს ლექცია/სემინარის ფორმატში.

საბაკალავრო პროგრამის ოპტიმალური ათვისების მიზნით სწავლება ხორციელდება განსხვავებული მეთოდების კომპლექსის სახით. სასწავლო საგნის სწავლებისას გამოიყენება შედარებით-სამართლებრივი, ისტორიულ-სამართლებრივი და სამართლებრივ-ლოგიკური ანალიზის მეთოდები.

სამართლის ფაკულტეტზე პროფესორები, მოწვეული ლექტორები/სპეციალისტები იყენებენ ელექტრონული (დისტანციური) სწავლების მეთოდებს, ისინი ასევე ინდივიდუალურად (მცირე და საშუალო სიდიდის ჯგუფებში) ხვდებიან სტუდენტებს, რაც ხელს უწყობს, როგორც დარგობრივ, ისე ინტერდისციპლინურ სწავლებას და უზრუნველყოფს ინფორმაციის ეფექტიან ურთიერთგაცვლას.

სტუდენტებთან სწავლება მიმდინარეობს ასევე შემდეგი მეთოდებით:

- **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად

დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - სწავლების სტრატეგია, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
- **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
 - ♣ პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
 - ♣ დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
 - ♣ გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
 - ♣ კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
 - ♣ შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
 - ♣ უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
- **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

▪ **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროფესორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

▪ **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი:**

↗ **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

↗ **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

↗ **სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

↗ **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

▪ **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

▪ **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

▪ **წერიტი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, ესეს შესრულება.

▪ **პრაქტიკული მუშაობის მეთოდი** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას.

პროფესორი (მოწვეული ლექტორი/სპეციალისტი) შესაძლოა იყენებდეს

ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

შეფასების წესი

სამართლის პროგრამაში სტუდენტების შეფასება ხორციელდება ასქულიანი სისტემით.

100 ქულა წარმოადგენს სტუდენტის მაქსიმალურ საბოლოო შეფასებას კონკრეტული სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 51-დან 100 ქულამდე დაგროვება.

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ისევე, როგორც შეფასების კრიტერიუმები წარმოდგენილია თითოეული საგნის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემაში ქულები ნაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%
- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე მინიმუმ ათი დღის შემდეგ ერთხელ გასვლის უფლება
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

სწავლისთვის აუცილებელი დამხმარე რესურსები/პირობები:

- სალექციო აუდიტორიები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურს ცენტრი;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა "არგუსი".

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის პროგრამის დეტალური სტრუქტურული აგებულება იხ. დანართი #2

პროგრამის გარდამავალი დებულებები

სამართლის საბაკალავრო პროგრამის მოდიფიცირებული ვერსია შემუშავებულია სამართლის მოქმედი საბაკალავრო პროგრამის ბაზაზე. მოდიფიცირებულ პროგრამაზე მე-2-მე-8 და დამატებითი სემესტრის სტუდენტთა გადაყვანა უნდა მოხდეს ეტაპობრივად სემესტრულად სკოლის დეკანის მიერ დამტკიცებული ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული იქნება საგანზე დაშვების წინაპირობები.

სამართლის სკოლის სტუდენტთა მიერ გავლილი საგნების აღიარებისა და ახალ სასწავლო გეგმაზე გადასვლის მიზნით დანართი #3 ჩაითვალოს ამ პროგრამის განუყოფელ ნაწილად, სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარება უნდა მოხდეს დანართი #2 და დანართი #3-ის გათვალისწინებით სტუდენტთა ინტერესის შესაბამისად.